212 F247/2 №19466 758 №16205 F247/2 №13236

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 1 ნოემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 23 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (შეუმრავლესთა) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 23

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მევაჭრეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ღირის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი განოვის ქ. № 3

ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

# № 5 სია № 5

## დამფუძნებელი კრების

### კანდიდატებისა,

რომელიც წამოყენებულია კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ (რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა).

1. შაუმიანი სტეფანე გეორგის ძე, სრულიათ რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატთა საბჭოების ცენტრალური კომიტეტის წევრი. ბაქო.

2 ჯუღაშვილი (კობა სტალინი) იოსებ ბესარიონის ძე, ლიტერატორი. პეტროგრადი.

3. ნარიმანოვი ნარიმანი, დოქტორი. ბაქო.

4. ფიოლეტოვი ივანე ტიმოთეს ძე, მუშა. ნავთის მრეწველობის მუშათა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე და ბაქოს მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო-ბალახანა.

5. ცხაკაია მიხეილი გრიგოლის ძე, ჟურნალისტი, თფ. საქ. საბჭოს ხმოსანი. თფილისი.

6. მახარაძე ფილიპე იესეს ძე, ლიტერატორი. თფ. საქ. საბჭოს ხმოსანი. თფილისი.

7. ჯაფარიძე (ალიოშა) პროკოპი აფრასიონის ძე, ბაქოს მ. და ს. დ. საბჭოს წევრი. ბაქო.

8 თოდრია სილიბისტრო იესეს ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

9. ნაზარეტიანი [illegible] მარქარის ძე, თფ. მ. და ს. დ. ს. წევრი. თფილისი.

10 ქავთარაძე [illegible] ივანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

11. კუზნეცოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე, სტატისტიკოსი, თფ. მ. და ს. დ. ს. ა. კ. წევრი. თფილისი.

12. ისრაფილბეკოვი [illegible] კუბეი, დოქტორი. ბაქო.

13. დენისოვი ათანასე ექვთიმეს ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. ა. კ. წევრი.

14. ოკუჯავა მიხეილ სტეფანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

15. ხანთიანი სარქის მელიქ., პედაგოგი, ჟურნალისტი. თფილისი.

16. მიშჩენკო კორნილი ვასილის ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. ს. წევრი. თფილისი.

17 შავერდოვი დანიელი ალექსის ძე, ნაფიცი ვექილი, თფ. საქ. საბ. ხმოსანი. თფილისი.

18. ენუქიძე აბელი სოფრომის ძე, სალდათი. სრულიათ რუსეთის მ. დას. დ. საბჭ. ად. კ. წევრი. პეტროგრადი.

19. ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფ. საქ საბ. ხმოსანი, თფილისი.

20. რამონოვი ევგენი დავითის ძე, სამხედრო ექიმი, თფილისი.

21 ზარგარიანცი ალექსანდრე ოჰანესის ძე, მუშა. ბაქოს მუშათა და სალ. დეპ. საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო.

22. ერქომაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, კოოპერატორი, თფილისი.

23. იაგუბოვი სეითი დოკაფერ, მუშა. ბაქო-ბალახანა.

24. დუმბაძე ვლადიმერი ელიზბარის ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

25. კოლესნიკოვა ნადეჟდა ნიკოლოზის ასული, პედაგოგი. ბაქო.

26. აზიზბეკოვი მაშადი ბეგ, ინჟინერი. ბაქო.

27. ნანეიშვილი ბიქტორ ივანეს ძე, პედაგოგი ბაქო.

28. ითაბეგოვი არშაკი ნაზარის ძე, ბუნების მეტყ, თფ. საქ. ს. ხმოსანი.

29. არველაძე პეტრე იაკობის ძე, სალდათი. ალექსანდროპოლი.

30. ზევინი იაკობი დავითის ძე (პაველ კუზმინი) მუშა. ბაქო-ბალახანა.

31. ლეჟავა სიმონ კონსტანტინეს ძე, დოქტორი. ფოთი.

32. გაბრიელიანცი (კარინიანი) არტაშ ვალასის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. ბაქო.

33 თერიანი ვაგანი სუკიასის ძე, პოეტი. ახალქალაქი.

34. მრავიან ასკანეზ არტემის ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი. თფილისი,

35. ბიკოვი მიხეილ ივანეს ძე, მუშა ბაქო ბალახანა.

36. იოანისიანცი აშოტ გარეგინეს ძე პედაგოგი, ეჩმიაძინი.

კავკასიის საოლქო კომიტეტი
რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკები).

## გამარჯვების დროშა

პეტროგრადის აჯანყებამ დაამხო კერენსკის კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა და აიფრიალა დროშა, რომელსაც აწერია: ზავი, პური და თავისუფლება. მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა მინისტრების დატუსაღებით. ბრძოლა შეიძლება ხანგრძლივი და შეუპოვარი, ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი ახლა იწყება.

მთავრობა [illegible] იარაღი იყო კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის ხელში და მთავრობის დამხობა არ ნიშნავს კონტრ-რევოლიუციის დამხობასაც: მას ბევრი საშუალება მოეპოვება როგორც თავის დასაცავათ, ისე რევოლიუციაზე თავდასასხმელათაც, და სანამ არ გამოიყენებს ყველა ამ საშუალებებს, ის არ დაყრის იარაღს, არ დასთმობს თავის პოზიციას, არ მოიხრის ქედს რევოლიუციონური ხალხის წინაშე.

პეტროგრადის პროლეტარიატმა კარგათ იცის ეს და როცა ის გადამწყვეტ ბრძოლაში გამოვიდა, მას სულაც არ უფიქრია, რომ გამარჯვებას ორ დღეში მიაღწევდა. ბრძოლა იქნება ხანგრძლივი, სადაც შესაძლებელია დროებითი წარუმატებლობა, მაგრამ საბოლოვო გამარჯვება პროლეტარიატს უნდა დარჩეს, რადგან მხოლოთ მას შეუძლია შესწყვიტოს გამანადგურებელი ომი, მისცეს ხალხს პური, დაამკვიდროს თავისუფლება. საერთო კრიზისი ისეთი ხასიათისაა, რომ იქიდან გამოსვლა შეუძლებელია მშვიდობიანი გზით. გამარჯვებულ კონტრ-რევოლიუციას არ ძალუძს მოხსნას ქვეყანას ის ბორკილები, რომლებშიაც ეკონომიურათ და პოლიტიკურათ ჩაჭედილია ქვეყანა იმავე კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის მეოხებით. ორ ბანაკს შორის სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლაა დაწყებული და სანამ ერთ-ერთ მათგანს თავისი უმთავრესი ძალები არ დაუხარჯავს, ბრძოლის გათავებაზე ფიქრი ნაადრევია.

აშკარაა, პეტროგრადის ახალ რევოლიუციას არ შეუძლება ისეთი სწრაფი და თავ-ბრუ დამხვევი ეფექტები მოყვეს, როგორც ამას ად-

[...]ს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პა[რტია] [...]ოთხშაბათი, 1 ნოემბერი 1917 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბიბლიოთეკა БИБЛИОТЕКА ИНСТИТУТ СТАЛИНА [...]

F 2447 / 490

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (მეუმრავლესეთა) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 23

[პ]ირველი ნოემბრიდან გაზეთი

## „ბრძოლა"

[გამ]ოდის ყოველდღიურად.

[გაზ]ეთის ფასი: წლის ბოლომდე ღირს 4 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბო-[...]" კანტორაში, თფილისი გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ [გაზ]ეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ [დილ]ით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „[ბ]რძოლა" ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის [ქუ]ჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

ამხანაგებო!. ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა [გაზ]ეთი მხოლოთ მუშების ძალღონით და საშუალებით შეიძლება [არსე]ბობდეს.

## სია № 5

## [დ]ამფუძნებელი კრების

[წევრთა კა]ნდიდატებისა,

[რომელიც] წამოყენებულია კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ (რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა).

[...]უმიანი სტეფანე გეო[...] სრულიად რუსეთის მუშა[თა და ჯარისკაცთა] დეპუტატთა საბ[ჭოთა ცენტ]რ. აღმ. კომიტეტის [...]

[...]ვილი (კობა, [იოსებ] ბესარიონის ძე, [პ]ეტროგრადი.

[...]ოვი [...]რიმანი,- [...]

[...]ანე ტი- [...] მრეწველ [...] პ[...]ონალური [...]ძედომ[...] და ბაქოს [...]ალდათთა დეპუტატების [...] წევრი. [ბაქო]-ბალა-[ხანი].

[...]კაია მიხეილ გრიგო- [...] ჟურნალისტი, თფ. საქ. სა[ბ. ხმო]სანი. თფილისი.

[...]ხარაძე [...] ისეს [...]ერატორი. თფ. საქ. საბჭოს [...] თფილისი.

[...]ფარიძე (ალიოშა) პრო[...]ესიონის ძე, ბაქოს მ. და [...]ბჭოს წევრი. ბაქო.

8. თოდრია სილიბისტრო იესეს ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

9. ნაზარეტიანი გმაიაკი მარქარის ძე, თფ. მ. და ს. დ. ს. წევრი. თფილისი.

10. ქავთარაძე სერგი ივანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

11. კუზნეცოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე, სტატისტიკოსი, თფ. მ. და ს. დ. ს. ა. კ. წევრი. თფილისი.

12. ისრაფილბეკოვი მაკუბეი. დოქტორი. ბაქო.

13. დენისოვი ათანასე ექვთიმეს ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. ა. კ. წევრი.

14. ოკუჯავა მიხეილ სტეფანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

15. ხანოიანი სარქის მელიქ., პედაგოგი, ჟურნალისტი. თფილისი.

16. მიშჩენკო კორნილი ვასილის ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. წევრი. თფილისი.

17. შავერდოვი დანიელი ალექსის ძე, ნაფიცი ვექილი, თფ. საქ. საბ. ხმოსანი. თფილისი.

18. ენუქიძე აბელი სოფრომის ძე, სალდათი. სრულიათ რუსეთის მ. დ. ს. დ. საბჭ. აღ. კ. წევრი. პეტროგრადი.

19. ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფ. საქ. საბ. ხმოსანი, თფილისი.

20. რამიშვილი ევგენი დავითის ძე, სამხედრო ექიმი, თფილისი.

21 ზარგარიანცი ალექსანდრე ოჰანესის ძე, მუშა. ბაქოს მუშათა და სალ. დეპ. საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო.

22. ერქომაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, კოოპერატორი, თფილისი.

[...] ფერი, მუშა. ბაქო-ბალახანა.

24. დუმბაძე ვლადიმერი, ელიზბარის ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

25. კოლესნიკოვა ნადეჟდა ნიკოლოზის ასული, პედაგოგი. ბაქო.

26. აზიზბეკოვი მაშადი ბეგ, ინჟინერი. ბაქო.

27. ნანეიშვილი ბიქტორ ივანეს ძე, პედაგოგი ბაქო.

28. ათაბეგოვი არშაკი ნაზარის ძე, ბუნების მეტყ., თფ. საქ. ს. ხმოსანი.

29. არველაძე პეტრე იაკობის ძე, სალდათი. ალექსანდროპოლი.

30. ზევინი იაკობი დავითის ძე (პავლე კუზმინი) მუშა. ბაქო-ბალახანა.

31. ლეჟავა სიმონ კონსტანტინეს ძე, დოქტორი. ფოთი.

32. გაბრიელიანცი (კარინიან) არტაშ ვალასის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. ბაქო.

33 თერიანი ვაგანი სუკიასეს ძე, პოეტი. [...]

34. მრავ[...] [...] თფილისი,

35. ბიკოვ[...] მუშა ბაქო-ბალახანა.

36. იოანისიანცი აშოტ გარეგინეს ძე პედაგოგი, ეჩმიაძინი.

კავკასიის საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკები).

## გამარჯვების დროშა

პეტროგრადის აჯანყებამ დაამხო კერენსკის კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა და ააფრიალა დროშა, რომელსაც აწერია: ზავი, პური და თავისუფლება. მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა მინისტრების დატუსაღებით, ბრძოლა მედგარი და შეუპოვარი, ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი მხოლოთ ახლა იწყება.

მთავრობა მხოლოთ იარაღი იყო კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის ხელში და მთავრობის დამხობა არ ნიშნავს კონტრ-რევოლიუციის დამხობასაც: მას ბევრი საშვალება მოეპოვება როგორც თავის დასაცავათ, ისე რევოლიუციაზე თავდასასხმ[ელად] და სანამ არ გამოიყენებს [...] ამ საშვალებებს, ის არ დ[...]რაღს, არ დასთმობს თავი[...]ციას, არ მოიხრის ქედს რ[ევოლიუ]ციონური ხალხის წინაშე [...]

პეტროგრადის პროლე[ტარიატმა] კარგათ იცის ეს და როცა [...] დამჭერელ ბრძოლაში გამო[...]

[...] სულაც არ უფიქრია, რომ გამარჯვებას ორ დღეში მიაღწევდა. ბრძოლა იქნება ხანგრძლივი, სადაც შესაძლებელია დროებითი წაგორხილება, მაგრამ საბოლოვო გამარჯვება პროლეტარიატს უნდა დარჩეს, რადგან მხოლოთ მას შეუძ[ლია] შესწყვიტოს გამანადგურებელი ომი, მისცეს ხალხს პური, დაამკვიდროს თავისუფლება. საერთო კრიზისი ისეთი ხასიათისაა, რომ იქიდან გამოსვლა შეუძლებელია მშვიდობიანი გზით. გამარჯვებულ კონტრ-რევოლიუციას არ ძალუძს მოხსნას ქვეყანას ის ბორკილები, რომლებშიაც ეკონომიურათ და პოლიტიკურათ ჩაჭედილია ქვეყანა იმავე კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის მეოხებით. ორ ბანაკს [...] სამხედრო - სასიცოცხლო [...] დაწყებული და სანამ ერთ[...]ნს თავისი უმთავრესი ძა[...] დაუხარჯავს, ბრძოლის [...] ფიქრი ნაადრევ[ია]. [...], პეტროგრადის ახალ[...]ციას არ შეიძლება ისეთი [...]ა თავ-ბრუ დამხვევი ეფე[...]ყვეს, როგორც ამას აღ-

გილი ქონდა თებერვალ-მარტის რევოლიუციის დროს.

ამას არ ითვალისწინებენ ზოგიერთები და სულმოკლეობით ლაპარაკობენ პეტროგრადის დამარცხებაზე, თუმცა ჯერ ერთი ნამდვილი ცნობაც არ არის მოსული პეტროგრადიდან. შეიძლება მათ კიდეც ახარებს მათი ფანტაზიით შეთხზული ,,დამარცხება'', მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ სანამ არსებობს ის ჯოჯოხეთური პირობები, რომლებიც ქვეყანას დაღუპვისკენ მიაქანებენ, ნაადრევია ფიქრი აჯანყების მოსპობაზე. პირიქით, ერთ ადგილას ჩაქრობილი აჯანყება, უფრო მეტის სიძლიერით იფეთქებს მეორე ადგილას და რევოლიუციის ცეცხლი მანამდე ილიზლიზებს, სანამ ქვეყანას სრულ განახლებას არ მიანიჭებს.

პეტროგრადის პროლეტარიატი გმირულათ გამოვიდა ბრძოლის ველზე და საბრძოლველათ იწვევს არა მარტო მთელი რუსეთის მშრომელთ, არამედ მთელი ქვეყნის დაჩაგრულთ და ტანჯულთ. გაბატონებულ მტარვალობისაგან ქვეყანა თავს იხსნის მხოლოთ ამ ბრძოლით, სხვა გზა არ არსებობს- წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას სრული განადგურება და გაველურება მოელის.

ან იმპერიალისტურ ომში ათიათასობით ამოხოცვა, შინ შიმშილით და სიცივით ფიზიკურათ გადაშენება, ან იარაღით ხელში კონტრ-რევოლიუციონერ ბურჟუაზიის დამარცხება და ხალხის საქმის ხალხისავე ხელით გაკეთება.

მძიმეა ეს ბრძოლა, მძიმეა მისი დროშა და ყველა ვერ ზიდავს მას სრულ გამარჯვებამდე, მაგრამ წაქცეულთა და გაქცეულთა ადგილს უფრო მხნე და შეუდრეკელი მებრძოლნი დაიჭერენ და გამარჯვებას უეჭველათ მოიპოვებენ.

## სამი პოზიცია.

პეტროგრადის რევოლიუციონური პროლეტარიატის და გარნიზონის ძლევამოსილმა აჯანყებამ *) საბოლოოთ გააშუქა მომქმედი პოლიტიკური პარტიების ნამდვილი ფიზიონომია და სულისკვეთება. დადგა წამი, როცა შეუძლებელი ხდება ნიღაბის ეფარება და ორ სკამზე ჯდომა. ან რევოლიუციის გამარჯვება, რისთვისაც აუცილებელია აჯანყებულ პეტროგრადთან ერთად სიარული, ანდა მისი დასამარება, რაც უეჭველათ მოყვება აჯანყების სისხლის მორევში ჩახრჩობას. პეტროგრად მოსკოვის ამბები მოწმობენ, რომ ე. წ. სამოქალაქო ზავი, კლასთა მორიგება,— შეთანხმება, შეკავშირება, ბლოკი, კოალიცია ისტორიის ჩაბარდა და მისი ადგილი დაიჭირა შეურიგებელმა, ულმობელმა, სამკვდრო სასიცოცხლო კლასთა ბრძოლამ, სამოქალაქო ომმა. რევოლიუცია დღეს შესდგა ისეთ საფეხურზე როცა შეუძლებელია მისი მშვიდობიანათ, უსისხლოთ გათავება ეს შეიძლებოდა წინეთ, მთელი შვიდი თვის განმავლობაში, ეს შესაძლებელი იყო კორნილოვის გამოლაშქრების ჩაქრობის შემდეგაც, როცა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები იმდენათ ძლიერი იყვნენ, რომ მათ წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია გამოლაშქრებას ვერ გაბედავდა. მაგრამ ეს სახელდახელო მომენტი ე. წ. „რევოლიუციონურმა დემოკრატიამ“ ობორონცულ პარტიების მეთაურების წყალობით ხელიდან გაუშვა. ეს ამბები მოწმობენ, რომ დღეს რუსეთში სამკვდრო-სასიცოცხლოთ დაეჯახა ერთმანეთს ორი ბანაკი: ბანაკი დემოკრატიულ-რევოლიუციონური—ბოლშევიკების მეთაურობით და ბანაკი კონტრ-რევოლიუციონური—კადეტების წინამძღოლობით.

პეტროგრადის აჯანყების დროშა ააფრიალა მოსკოვმა, მათ მიყვება, უნდა მიყვეს მთელი პროლეტარული რუსეთი ბოლშევიზმის მეთაურობით. რევოლიუციონური ცეცხლი, ანთებული პროლეტარულ ცენტრებში, მოედება, უნდა მოედვას მთელ რუსეთს, მისი გაქრობა მოპასწავებელი იქნება ან სრული გამარჯვების, ან სრული დამარცხების. წითელ პეტერ მოსკოვს შეუძლია თქვას: ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია. ასეთია მდგომარეობა.

თფილისის დემოკრატიის წინაშეც დადგა მომენტის კითხვა: როგორი დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ აჯანყებულებთან, 29—30 ოქტომბერს ობორონცულ თვით მართველობის და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სხდომებზე თვითეულმა პარტიამ დაგვანახვა თავის ნამდვილი სახე.

ჩვენი პოზიცია იყო აშკარა და ნათელი: მისალმება და ყოველ მხრივათ მხარის დაჭერა აჯანყებულებისათვის.

ჩვენ დაგვიპირდაპირდენ კადეტები (ქალაქის საბჭოში), რომლებმაც წამოაყენეს ფორმულ აჯანყების ცეცხლით და მახვილით ჩაქრობის. ეს ბუნებრივია და გასაგები, ვინაიდან კონტრ-რევოლიუციონურმა ბურჟუაზიამ კარგათ იცის, რომ „ბოლშევიკური“ აჯანყების დამხობით ის საბოლოოთ დაასამარებს ჩვენ რევოლიუციასაც.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა მესამე პოზიცია, რომელსაც დაადგენ ჩვენი ობორონცები: მენშევიკ—ესერები. მენშევიკებმა შეიტანეს წინადადება, რომელსაც შეუერთდენ ესერები. ეს წინადადება უმრავლესობის მიერ მიღებულ იქმნა. ამ რეზოლიუციაში გატარებულია ორი აზრი: 1) აჯანყების გამარჯვება ისე როგორც დამარცხება იარაღით ორივე შემთხვევაში გვიქადის კონტრ-რევოლიუციის გაძლიერებას, 2) ამიტომ სასურველია მისი მორიგებით, მშვიდობიანი გზით ლიკვიდაცია (გაუქმება).

ეს რეზოლიუცია ხელს უწყობს კონტრ-რევოლიუციის გაძლიერებას, ვინაიდან სახელს უტეხს აჯანყებულთ დემოკრატიის თვალში. ამ რეზოლიუციის მიმღებნი სხედან ორ სკამზე და ხელს იბანენ პილატესავით, ვინაიდან ამბობენ: თუ აჯანყებულებს სისხლში ჩაახრჩობენ, ჩვენი რა ბრალიაო. ეს რეზოლიუცია ყალბი და ფარისევლურია, ვინაიდან შეუძლებელია აჯანყების მშვიდობიანი გზით ჩაქრობა, ხალხის მოთმინების ფიალა აივსო, კლასი კლასს დაეჯახა, დუელი გაჩაღდა და ახლა შერიგებაზე ლაპარაკი ნიშნავს მხოლოთ გამცემლობას, ღალატს და სხვას არაფერს.

ამნაირათ, ადგილობრივი მ. და ჯ. დ. საბჭოს უმრავლესობა მენშევიკ-ესერების ბლოკის მეთაურობით ყალბ და მოღალატობრივ გზას დაადგა. დემოკრატიულ-რევოლიუციონური ორგანო, რომელიც დარაჯათ უნდა ედგას სათავეში რევოლიუციას, უაღრესათ კრიტიკულ მომენტში, როცა საბოლოოთ უნდა გადაწყდეს რევოლიუციის ბედის, სამარცხვინოთ ზურგს აქცევს მის (რევოლიუციის) უბედურ და ... ბელად პეტერ—მოსკოვის რევოლიუციონურ დემოკრატიას. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულ ვართ, რომ მ. და ჯ. საბჭოს მოზრდილი უმცირესობა, რომელმაც ჩვენ დაგვიჭირა მხარი, სალდათთა და პროლეტარებთან ერთად შეადგენს უმრავლესობას, რომელიც სულით და გულით თანაუგრძნობს აჯანყებულებს, როგორც თავგანწირულ მებრძოლთ პროლეტარულ—დემოკრატიულ იდეალებისათვის. ეს აშკარა იყო მ. და ს. საბჭოს სხდომაზე, როცა ჯარისკაცებით გაჭედილი ქანდარა მქუხარე ტაშით ეგებებოდა ბოლშევიკ-ორატორებს, სასტიკათ კიცხავდენ ჩვენ მოწინააღმდეგებს. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: ესერების პასუხის მგებელი ორატორები კამათის დროს ცხარეთ იცავდენ აჯანყების დაუყონებლივ „რკინით და სისხლით“ ჩაქრობას. ამიტომ მათ სამართლიანათ დაიმსახურეს სოციალ-კადეტების, კორნილოველების და სხ. სახელი. მაგრამ კენჭის ყრის დროს კი ეს ,,სოციალისტები“ მენშევიკების რეზოლიუციას შეუერთდენ. ეს აიხსნება მათი პოლიტიკური უსუსურობით, ან სილაჩრით ან ფარისევლობით.

ეს ერთი ნაბიჯიც სრულიათ საკმარისია იმ სათვის, რომ ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულმა პროლეტარმა და ჯარისკაცმა სამუდამოთ ზურგი აქციოს ესერების პარტიას ძირს ოყვავა და ორპირობა! ძირს კორნილოველთა მთავრობა!

გაუმარჯოს ახალ რევოლიუციას!

თედორე.

## პრესა.

დ რბაისელი „ერთობა“ არხეინი გულით სწერს:

„მოხდა ის, რასაც ჩვენ თავიდანვე ველოდით. შეთქმულობა მუდამ დამარცხებით თავდება, მით უფრო, თუ ის მოკლებულია ფართო მასის თანაგრძნობას და მხარის დაჭერას. სწორეთ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდენ ბოლშევიკები. მათ გამოეთიშა რევოლიუციონური დემოკრატიის დიდი ნაწილი და მისი ამბოხების ბედი თავიდანვე გადაწყდა. წარმოიდგინეთ თვით მენშევიკ ინტერნაციონალისტებმაც კი ზურგი შეაქციეს ბოლშევიკთა გამოსვლას და მათი ნაბიჯი დაგმეს. უმცირესობას არ ძალუძს უმრავლესობას თავს მოახვიოს თავისი სურვილები“.

ერთობელები რომ ჭკვიანი ხალხია, ყველამ იცის. რა მოხდება ისეთი, რომ ისინი წინდაწინ არ იყვნენ მიმხვდარი; ამ მხრით მათ ვერც ერთი მკითხავი ვერ შეედრება. იმათ ბრძნულათ იწინასწარმეტყველეს, რომ ბოლშევიკების გამოლაშქრება ან გამარჯვებით გათავდება, ან დამარცხებით (იხ. მათი რეზოლიუცია და სტატიები ამის შესახებ). და ახლა, როცა მათ გონიათ, რომ პეტროგრადი აღებულია, ისინი თავმომწონეთ იძახიან: ჩვენ ამას თავიდანვე ველოდით.

თქვენ ელოდით ამ ,დამარცხებას“, თქვენს განუყრელ მეგობრებს—ესერებს კი ენატრებოდათ ეს „დამარცხება“ და ორივენი ერთათ დიდათ მოღვაწეობდით, რომ სახელი გაგეტეხათ ამ მოძრაობისთვის. ჩირქი მოგეცხოთ მისთვის, ... ებდით მის ავანტიურას, ... ამბობდ...; ხალხს ურჩევდით მხარი დაეჭირათ პეტერბურგისთვის და ... თუ მართლა მოხდა კონტრ-რევოლიუციის გულგასახარელი საქმე და როგორც თქვენ ირწმუნებით, პეტროგრადი მართლა დამარცხდა, გაიხარეთ თქვენ, თქვენი რიგი, ზეიმი და ... რადგან, რაც მოხდა, მას კი არ ... დით მარტო, ყოველ მხრივათ ხელს უწყობდით.

„ერთობა“ კიდევ მეტი არხეინობით განაგრძობს:

„ჩვენ არ ვიცით, რა გზით მოხდა პეტროგრადში ბოლშევიკთა გამოსვლის ლიკვიდაცია, მშვიდობიანი გზით თუ სისხლის ღვრით“.

მაშ რაღას გაუჭედეთ ქვეყანას ყურები, - ჩვენ ნებას არ მივსცემთ, რომ ბოლშევიკების გამოსვლა იარაღით ჩააქრონო? თქვენ ჯერაც არ გაგიგიათ თურმე, როგორ ჩააქრეს, ან როგორ აქრობენ რევოლიუციონურ მოძრაობას და მაშ რა ფასი აქვს თქვენს „მოისყიანე“ რეზოლიუციებს? მხოლოთ ის, რომ მითი გინდათ მიაფუჩეჩოთ თქვენი აშკარა მოღალატეობა, რომელიც ჩაიდინეთ პეტერბურგის პროლეტარიატის მიმართ. ამ ღვაწლით მართლა შეგიძლიათ თავი მოიწონოთ კონტრ-რევოლიუციონერ ესერ-კადეტებთან. განაგრძეთ მათთან სიარული!

„ერთობა“ შემდეგშიაც გვპირდება იგივე მუხანათური პოლიტიკა აწარმოვოს. თუ პეტერბურგი დამარცხდა, კონტრ-რევოლიუცია თავს წამოყოფს და მთელ დემოკრატიას შეუტევს. რა გზას ადგება ამ შემთხვევაში „ერთობა“? აი მოუსმინეთ:

„ჩვენ გადაჭრით (უეჭველათ გადაჭრით!) უნდა მოვთხოვოთ დროებით მთავრობას, რომ რაკი პეტროგრადი დანებდა (!!!), არავითარ რეპრესიას ხალხის წინააღმდეგ ადგილი არ უნდა ქონდეს“.

ჩაუკვირდით ამ ამონაწერს. მენშევიკები ეუბნებიან კონტრ-რევოლიუციონერ მთავრობას: რაკი ღმერთმა ქნა და პეტროგრადი დაგნებდა, გეყოფა, მეტ სიავეს ნუღარ იზამო.

მაშინ მართლა თქვენისთანა ჭკვიანი იქნება კონტრ-რევოლიუცია, რომ მაგ ლოთაიებს ყური უგდოს! კონტრ-რევოლიუცია ვერ დაზოგავს რევოლიუციას, როგორც ეს უკანასკნელი ვერ დაზოგავს პირველს. მათი მორიგება არ შეიძლება. და თუ ჩვენს რევოლიუციას უდროვო სიკვდილი არ უწერია, მან ძალას ძალა უნდა დაუპირდაპიროს, შეუბრალებლათ დამარხოს მოსისხლე მტერი და თავი არ გაიბრიყვოს მენშევიკური ძილისპირებით.

ნუ ერჩით პეტროგრადს, მოგარიგებთ,—იძახის მენშევიკი,—ეს ხელობით მომრიგებელ შუამავალი. პეტროგრადი აღებულია—აცნობებენ მას კონტრ-რევოლიუციის ბანაკიდან. იკმარეთ პეტერბურგი, ნუ ერჩით სხვა ქალაქებს —განაგრძობს თავის მომრიგებლობას მენშევიკი და არხეინათ სთმობს პოზიციას პოზიციაზე.

## მომავალი კატასტროფა და მასთან ბრძოლა.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი.

(გაგრძელება).

ყველამ კარგათ იცის, თუ რა ადვილათ შეიძლება კონტროლის დაწესებ.

---

*) უტყუარი ცნობებია, რომ მოსკოვშიაც გაჩაღდა სამოქალაქო ომი.

## უკანასკნელი ცნობები აჯანყების შესახებ.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ცნობები, რომ პეტერბურგ-მოსკოვის აჯანყებას ემხრობიან ვორონეჟი, ურალი, ვოლგის ქალაქები, როსტოვი, დონის რაიონი.

ჩვენ მოუწოდებთ მკითხველებს უნდობლათ შეხვდენ კერძო ცნობებს, რომლებსაც აწვდიან საზოგადოებას აშკარა კონტრ-რევოლიუციონური გაზეთები და მათი დამქაშები—ყოველი ჯურის „მომრიგებლები" სოციალ-პატრიოტების მეთაურობით.

---

ახლა ვიკითხოთ, იქნება საჭირო კონტროლისთვის რაიმე რთული, ძნელი, გამოუცდელი და უცნობი ღონისძიებანი? სახელმწიფოს სათავეში მდგომი პარტიები, როგორნიც არიან კადეტების პარტია, ვაჭრობა მრეწველობის კლასი და ესერებ-მენშევიკების პარტიები იქნება იმიტომ ახანებენ კონტროლის შემოღებას, რომ იგი მოითხოვს აუტანელ შრომას, რომ თვით კითხვა ჯერ კიდევ გამოუკვლეველია და რომლის შესწავლას, გამოკვლევას და გადაწყვეტას ისინი ნახევარ წელიწადს ანდომებენ?

თქვენც არ მოიკვდეთ! ამ გვარის ლათაიებით ისინი მხოლოთ ტეტიებს უვლებს და გადაყრუებულებს უბამენ თვალებს, ვინაიდგან ეს უკანასკნელნი არაფრის გარჩევაში არ შედიან და ყველასი სჯერათ. ნამდვილათ კი კონტროლისთვის საჭირო სახსრები კარგათ ჰქონდათ გათვალისწინებული თვით „ძველ რეჟიმის", მეფის ბატონობის დროსაც და ამიტომაც აარსებდა „სამხედრო-სამრეწველო" კომიტეტებს, აერთებდა ხალხსა პროფესიონალურ ნიადაგზედ, მიზნისდამიხედვითი თვისებაზე, შრომის დარგზე და სხვა და სხ. მაგრამ, რადგან მეფეს ეშინოდა ხალხის ერთმანეთთან დაახლოვებისა, ამიტომაც იგი იმავე დროს ყოველ მხრივ ცდილობდა ხელოვნურად შეეზღუდა ეს ყველასთვის გასაგები „ადვილი და მოხერხებული საღსარი" და კონტროლის გზა.

ყველა მეომარ სახელმწიფოებმა, როდესაც კი იგრძნეს იმისგან გამოწვეული აუტანელი ტვირთი და სილატაკე, იგემეს ასე თუ ისე არევ დარევა და სიმშილი, მაშინვე აღნიშნეს, გამოიკვლიეს და სცადეს მთელი რიგი საკონტროლო ზომებისა, რომელნიც შესდგებიან იმაში, რომ აერთებენ ხალხსა, ჰქმნიან სხვა და სხვა გვარ კავშირებს სახელმწიფოს წარმომადგენლების მონაწილეობით, მათ ზედამხედველობით და სხვა კონტროლის ამ გვარი სახსრები ყველამ უწყის, არა ერთჯელ თქმულა და დაწერილა მათზე. მეომარ სახელმწიფოებმა გამოაქვეყნეს სათანადო კანონები კონტროლის შესახებ, რომელნიც გადათარგმნეს რუსულ ენაზედაც და დაწვრილებით იყვნენ მოყვანილნი რუსულ მწერლობაში,

ჩვენს მთავრობას რომ მართლა სერიოზულათ მოენდომებია და გაეხორციელებია კონტროლი, მთავრობის დაწესებულებანი რომ არ შებმოდნენ კაპიტალისტებისგან შექნილ უღელში და არ შეებორკათ ფეხები „სრულის უმოქმედობით", სულ ადვილად შეეძლოთ ესარგებლათ მზა მზარეულათ მოგროვილ კონტროლისთვის საჭირო მრავალ ნაირ სახსრებით, რომელნიც უკვე ცნობილნი იყვნენ გამოცდილობით და გამოყენებით.

მაგრამ ამას ხელს უშლიდა ის მოსაზრება, რომ კონტროლს შეეძლო აეხილა თვალები ხალხისთვის და დაენახვებინა მისთვის კაპიტალისტების ულმერთო „მოგება". ეს კაპიტალისტების მოგებას დიდ ზარალს მიაყენებდა და აი სწორეთ ამას ვერ ურიგდებოდნენ კადეტები. ესერები და მენშევიკები.

რომ უფრო ნათელ ვყოთ ეს უმთავრესი კითხვა, რაც შეადგენს პროგრამას არსებით მხარეს ყოველ რევოლიუციონურ მომქმედ მთავრობისას, რომელსაც კი დაუსახნია რუსეთის ხსნა ომისგან და შიმშილისგან, ამისთვის საჭიროა ჩამოვთვალოთ უმთავრესი სახსრები კონტროლისა და შეუდგეთ მათ თითოულათ გასინჯვას.

ჩვენ დავინახავთ რომ მთავრობა, თუ ის არ მასხრობს, როცა თავის თავს რევოლიუციონურ დემოკრატიის სახელით ნათლავს, თავის დაბადების პირველ დღეებშივე უნდა დეკრეტით ე. ი. ბრძანებით, განეხორციელებია უმთავრესი ღონისძიებანი კონტროლისა და დაეწესებინა სერიოზული სასჯელი კაპიტალისტებისთვის, რომ მათ (კაპიტალისტებს) მხარი არ აექციათ კონტროლისთვის, უნდა მოეწოდნათ თვით ხალხისთვის თვალყური ედევნებინათ კაპიტალისტებისათვის, რომ ამ უკანასკნელებს არ დაერღვიათ კონტროლის შესახები კანონები. კონტროლი მაშინ უკვე განხორციელებული იქნებოდა რუსეთში.

ეხლა ჩამოვთვალოთ უმთავრესი ღონისძიებანი:

1. ბანკების ნაციონალიზაცია, ანუ ყველა ბანკების გაერთიანება და სახელმწიფომ კონტროლი მის ოპერაციებისთვის.
2. სინდიკატების ნაციონალიზაცია, ანუ, გაერთიანება კაპიტალისტების მსხვილ მონოპოლურ კავშირებისა (სინდიკატები: შაქრისა, ნავთისა, ნახშირისა, ლითონისა და სხ.)
3. სავაჭრო საიდუმლოების გაუქმება.
4. ძალდატანებითი გაერთიანება ერთ კავშირში მრეწველებისა, ვაჭრებისა და საზოგადოთ მთელი ალებ მიმცემლობისა.
5. ძალდატანებითი გაერთიანება ხალხისა მომხმარებელ საზოგადოებაში, ანუ ხელის შეწყობა ამ გვარ გაერთიანებისთვის და მის კონტროლისა.

ახლა გავშინჯოთ, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა თვითეულ აქ ჩამოთვლილ ღონისძიებას იმ შემთხვევაში, თუ ის განხორციელდებოდა რევოლიუციონურ დემოკრატიულ პირობებში.

(გაგრძელება იქნება).

---

## თბილისის მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭო.

თბილისის მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს ორ უკანასკნელ სხდომას ახასიათებს მას მონაწილეთა ინტერესის გაცხოველება. პირველ სხდომაზე ირჩეოდა სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის საკითხი, მეორეზე კი მიმდინარე მომენტი.

ორივე ამ კითხვას პირდაპირი კავშირი აქვს დღევანდელ რუსეთის მდგომარეობასთან, ეხლა რუსეთის ყოფნა არ ყოფნის საკითხი; ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ქანდარა ივსებოდა აუარება მუშებით და სალდათებით.

პარტერი და ქანდარა გაიყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ—თითქმის მთელი ქანდარა დაუპირდაპირდა პარტერში მსხდომ საბჭოს წევრების დიდ უმრავლესობას. ქანდარის მჯდომელნი ღელავდენ, შფოთავდენ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყვეტინებდენ ორატორებს სიტყვას, რაც იწვევდა პრეზიდიუმის მხრიდან მუქარას ქანდარისადმი.

პირველ სხდომაზე თავჯდომარემ ამის გამო სხდომაც დახურა დროებით.

ქანდარიდან უყვიროდენ საბჭოს წევრებს: ჩვენ იმიტომ არ გამოვეგზავნეთ აქ, რომ ჩვენი ნება-სურვილების წინააღმდეგ რეზოლიუციები მიიღოთ; თქვენ გვიღალატეთ, გაგვყიდეთ და სხვა ასეთი.

ეს ფაქტი ძლიერ დამახასიათებელი არის იმ მხრით, თუ რამოდენათ წინ წასულა ამომრჩევლები არჩეულებზე!

სწორედ ეს უკანასკნელი მიიღო სახეში თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს ბოლშევიკურმა ფრაქციამ და 29 ოქტომბერის სხდომაზე წინადადება წარადგინა საბჭოში საბჭოს წევრების ხელ-ახალი არჩევნების შესახებ.

როცა თავმჯდომარემ ბოლშევიკების ეს წინადადება წაიკითხა, ქანდარაზე ასტყდა დაურღვეველი ტაშის ცემა და „Правильно"-ს ძახილი. ამ წინადადებას უყარეს კენჭი, მარა, მოხდა ისრაც დემოკრატისგან ძნელი მოსალოდნელი იყო.

გადასწყვიტეს, რომ არაა საჭირო ხელ-ახალი არჩევნები და მით თავანთ თავს ნდობა გამოუცხადეს.

საბჭო რომ განახლებას საჭიროებს, ამაში არავითარი ეჭვი არ არის. ბოლშევიკურმა ფრაქციამ ამ ხრით თვისი მოვალეობა პირნათლათ შეასრულა.

ახლა ეს კითხვა უნდა გადავიტანოთ საბჭოს გარეთ, თვით მასაში, უკანასკნელი სიტყვა მას ვაკუთვნოთ.

ამხანაგებო მუშებო და ჯარის კაცებო! თქვენ მიერ ამ 7—8 თვის წინად არჩეული საბჭო, ეს ადგილობრივი რევოლიუციონური დემოკრატიის პარლამენტი, ვერ დგას თვის დანიშნულების სიმაღლეზე, ამიტომ საჭიროა მასი განახლება.

აირჩიეთ უფრო მომზადებულები და რევოლიუციონურად მოაზრენი!

აირჩიეთ ბრძოლაში გამოწრთობილნი და პოლიტიკურად მომწიფებულნი.

დრო არ ითმენს, იჩქარეთ!

ვინ იცის ხვალინდელი დღე რას გვიმზადებს

გაუმარჯოს განახლებულ საბჭოს!

კ. ხომერიკი.

---

## ქალაქის საბჭოს სხდომა 28 ოქტომბერს.

დღიურ წესრიგში წამოყენებული იყო ფრიად საყურადღებო საკითხი: პეტროგრადის უკანასკნელი ამბები და საბჭოს შეხედულება მიმდინარე მომენტზე.

სხდომამ დიდძალი ხალხი მოიზიდა, როგორც დეპუტატებიდან, ისე გარეშე მაყურებელთაგან. „ბოლშევიკების აჯანყება", როგორც მენშევიკ-ესერები ნათლავენ პეტროგრადის რევოლიუციონურ პროლეტარიატის და ჯარის აშკარა გალაშქრებას კონტრ რევოლიუციონური მთავრობის წინააღმდეგ, არა მარტო აინტერესებს საბჭოს პუბლიკას, ის ყველას აღელვებს, აფიქრებს, აენერგიანებს....

კამათში ირკვევა სამი სხვადასხვანაირი შეხედულება: კადეტ-ესერების, მენშევიკების და ბოლშევიკების.

მკაფიოთ ჩამოყალიბებული პოზიცია უჭირავთ მხოლოთ კადეტებს და მათ შეურიგებელ მტრებს-ბოლშევიკებს. კადეტები მოითხოვენ შეუბრალებელი სისხლის ღვრით ალმოიფხვრას ბოლშევიკების გამოსვლა; ბოლშევიკები მოითხოვენ თავ-განწირულათ მხარი დაუჭირონ რევოლიუციონურ პეტროგრადს კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მენშევიკები აქაც პოულობენ საშუალო გზას, არც მწვადსა სწვამენ, არც შამფურს, ისინი შეთანხმებით ცდილობენ ულმობელი ბრძოლის დაბოლოვებას, ისინი წინააღმდეგნი არიან, ბოლშევიკების გამოლაშქრება შეიარაღებული ძალით იქნას ჩაქრობილი (რა გულკეთილობაა!), ისინი პროტესტს გააცხადებენ ასეთი ზომის წინააღმდეგ (რა მებრძოლები არიან!), მაგრამ ისინი ბოლშევიკებსაც ვერ მიემხრობიან, რადგან ისინი მოითხოვენ მთელი ძალა-უფლება რევოლიუციონურ საბჭოების ხელში გადავიდეს (რა რევოლიუციონერები არიან!). ისინი ერთ სიტყვას ვერ იმეტებენ იმ კონტ-რევოლიუციონურ მთავრობის სასარგებლოთ, რომელიც პეტროგრადის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა დაამხო; მაგრამ ვერც ბოლშევიკებს მიემხრობიან, რადგან ისინი კომუნისტებ იცქირებიან! ისინი უცდიან, ამ საშინელი ქარიშხალის დროს ხეს აფარებენ თავს და როცა გამოიდარებს მშრალათ გამოსულნი თავის წილს დაიდებენ ახალი ძალაუფლების დამყარებაში: ისინი მოითხოვენ ერთფეროვან დემოკრატიულ მთავრობას, სადაც საბჭოებს გარდა დიდი ადგილი დაეთმობა ქალაქის და საერობო თვითმართველობებს (რომელთაგან უმეტესი ნაწილი ძველი სოვდაგრების ხელშია), და ყველა იმ დაწესებულებებს, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ დემოკრატიასთან. მუშა, გლეხი და სალდათი რომ მთელ დემოკრატიათ ჩათვალონ, მათ არ ეპაშნიკებათ, შეტათ ეცოტავებათ და ცდილობენ დემოკრატია გაფართოონ უცენზო ბურჟუაზიის შემოერთებით,— მათთან ერთათ მშვენიერ მთავრობას შევადგენთო.

პროლეტარიატი სისხლსა ღვრის, მენშევიკები სეირს უყურებენ და მებრძოლთა შორის მაჭანკლობას აპირებენ, ალბათ მენშევიკებმა ისტორიიდან იციან რომ არა ერთხელ დაუმსხვრევია პროლეტარიატს ხალხის მტარვალთა მთავრობა, მაგრამ ქვეყნის მესვეურობა მის მაგივრათ სხვა კლასს რგებია. აქ ისინი ადრევე ყნოსავენ მძოვრის სუნს და მზათ არიან ყველას მოასწრონ მისი დაპატრონება.

მაგრამ არა ნაკლებ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მენშევიკებს ამ დღეს პირველათ უღალატეს მათმა ტყუპმა ძმებმა ესერებმა. ესერმა მეხალევმა ჟორდანიას დებულების ნაცვლათ გაიზიარა კადეტ სემინოვის პრინციპიალური შეხედულებანი სისხლი სწყურია ამ ვაჟბატონს, თავისუფლებისათვის მედგარ მებრძოლთ სისხლის მორევში ჩაახრჩობს ეს უცდეური პოლიტიკოსი და რევოლიუციის მოღალატე კერენსკის კი კვლავ აღადგენს.

რვა თვეს იყვნენ ერთათ მენშევიკები და ესერები, არც ერთ თუნდ უმცირეს კითხვაში ისინი ერთმანეთს მცირედაც არ შეკამათებიან, ერთათ აწარმოებდნენ ბურჟუაზიასთან შეთანხმების საქმეს, ერთათ აუძლურებდენ და სცარავდენ რევოლიუციას, სანამ ის ხელფეხ შეკრული მტერს არ მიუგდე. როგორც მენშევიკები, ისე ესერები წვრილ ბურჟუაზიულ პარტიას წარმოადგენდენ,

ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარი იყო ეს ამბავი. უდიდეს რევოლიუციის დროს ხანგრძლივათ ერთათ ყოფნა, ერთათ მოქმედება, ფიქრი, და აზროვნება რატომ საბოლოვოთ არ შეადუღებს ამ

ორ პარტიის ერთ მთელათ, რაღა აქვთ მათ ერთმანეთში გასაყოფი?

მაგრამ თურმე საფუძვლიანი იყო ისტორიის გადაწყვეტილება, რომ ამ ორ მკვიდრ—ნათესავ პარტიას საბოლოვოთ არ ჩამოეყალიბებია ერთი მთლიანი პარტია. წვრილი ბურჟუაზია მეტათ მრავალ—ფეროვანია და მის სხვადა სხვა ნაწილებს ხშირათ განსხვავებული ინტერესები აქვთ. მაშინ როდესაც ერთ ნაწილს არ ეთაკილება ბრძასავით გაჰყვეს ხალხის მოსისხლე მტერს—კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას, მეორე ნაწილი პროლეტარიატისკენაც იხედავს მოწყალების თვალით და სოციალიზმსაც კი სერიოზულათ ეპოტინება.

თითქოს ასეთი განთვისების და განქორწინების პროცესი გადიშალა ჩვენს თვალ წინ ქალაქის საბჭოს სხდომაზე, როცა მოვუსმინეთ მენშევიკ—ესერების ორატორებს. მაგრამ დაკრა უკანასკნელმა ჟამმა და ჰოი საკვირველებავ! კვლავ მხურვალეთ გადაკოცნეს ერთმანეთი ცოტა ხნის წინათ წაკიდებულმა მოყვრებმა; მათ მიიღეს საერთო რეზოლიუცია, რომელსაც დაშნაკნლებიც კი შეუერთდნენ. სიტყვების და ფრაზების რახარუხი სხვადა სხვანაირი, რეზოლიუცია კი ერთნაირი! ვინ უღალატა აქ თავის სიტყვას, ესერებმა თუ მენშევიკებმა? ერთმაც და მეორემაც და ორივემ ერთათ კი უღალატეს პეტროგრადის პროლეტარიატს, რომლის თავდადებულ ბრძოლას ის ავანტიურას უწოდებენ და მისი როგორც გამარჯვება, ისე დამარცხება ერთნაირათ კონტრ-რევოლიუციონერათ მიაჩნიათ.

საკვირველი ლოღიკაა სწორეთ: თუ გაიმარჯვა პეტერბურგმა, ეს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება იქნება, თუ დამარცხდა, ესეც იმავე კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებაა. ეს ხომ იმ ხალხური გმირის მდგომარეობას გავს, რომელსაც შესავალ კარებზე წინ ადემართებოდა წარწერა: შეხვალ ინანებ, არ შეხვალ მაინც ინანებ. მაგრამ თუ ეს გმირი უკან კი არ იხევდა, კარებს ამტვრევდა და წინ მიიწევდა, მენშევიკები ორივე გზას უარყოფენ, თუმცა იციან, რომ მესამე გზა არ არსებობს; ისინი ბრძოლის ბანაკიდან განზე აპირებენ განდგომას და ამოვარდნილ ქარიშხალს ფილისტერული მშვიდობიანობით უპასუხებენ: ქვავ ნუ ავორდები, თუ აგორდი, მე ნუ მომხვდებიო.

ბოლშევიკებმა შეიტანეს თავისი რეზოლიუცია, რომელშიაც მოუწოდებენ, რომ რევოლიუციასა და კონტრ-რევოლიუციის შორის ატეხილ სასტიკ ბრძოლაში მთელი ძალღონით მხარი დაუჭირონ რევოლიუციის მატარებელ პეტერბურგის პროლეტარიატს და ჯარს და ესცნონ მის მიერ შექმნილი საქმეების მთავრობა.

რა თქმა უნდა ეს რეზოლიუცია ერთ ხმათ იქნა უარყოფილი მარტო ბოლშევიკების გამოკლებით.

28 ოქტომბერის სხდომა აშკარა, საქვეყნო ლალატი იყო პროლეტარიატის და რევოლიუციის მიმართ ჩადენილი.

## მენშევიკები სიოფლათ.

**ატენის ხე ტყის სახერხავი ქარხანა.**

ქ. გორიდან ექვსი ვერსის მანძილზე, ატენის ხეობაში არსებობს ხე-ტყის სახერხავი ქარხანა, რომელსაც ამ ჟამათ განაგებს ამიერ-კავკასიის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის წარმომადგენელი ვინმე ერლიხი. ამ ქარხანაში მუშაობს სამასამდე მუშა. დაახლოვებით ამ ერთი თვის წინეთ მუშებმა წარუდგინეს ბ—ნ ერლიხს, რომელიც მოიმენშევიკებს, რამდენიმე მოთხოვნა თავიანთი ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლათ.

საქმეში ჩაერია გორის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭო, რომელმაც ატენში გაგზავნა მ[illegible]აკი[illegible] ხის მოსაგვარებლათ განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიოდენ ამხ. • ცერცვაძე, მაქს. ინასარიძე, მ. ქებაძე და მ. ჯავახიშვილი. კომისიამ მუშებთან ერთათ საბოლოოთ გამოიმუშავეს მოთხოვნები რომლებიც წარუდგინეს ბ-ნ ერლიხს იმ პირობით, რომ თუ ეს უკანასკნელი 25 ოქტომბრამდე არ დააკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს, იმ შემთხვევაში მუშები აცხადებდენ გაფიცვას. დანიშნული ვადა ახლოვდებოდა, მაგრამ ქარხნის გამგე დაკმაყოფილებაზე არას ამბობდა.

24 ოქტომბერს ატენის ქარხანაში გამოჩნდა მენშევიკი ვასო გურული კომისიის დაუკითხავათ იგი ახდენს ქარხნის მუშების კრებას. აქ ირკვევა, რომ ერლიხი მუშების მიერ წარდგენილ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე სრულებით არ ფიქრობს. მაშასადამე, მუშებს მეორე დღესვე, ე. ი. 25 ოქტომბერს გაფიცვა უნდა დაეწყოთ. მაგრამ გაფიცვას წინააღუდგა მენშევიკი გურული; მისი ერთათ ერთი მოტივი გაფიცვის წინააღმდეგ ის იყო, რომ ახლა ხდება კამპანია დამფუძნებელი კრების არჩევნების; მუშების გაფიცვა ამ კამპანიას ხელს შეუშლის, ამიტომ დამფ. კრების მოწვევამდე მუშების გაფიცვას ადგილი არ უნდა ქონდესო. გარდა ამისა, თუ მუშები მაინც გამოაცხადებენ გაფიცვას, მაშინ იმათ უნდა იცოდენ, რომ ქარხანა ყველა იმათ რომელთაც მაგრერთ ბეგარა აქვთ, ფრონტზე გამგზავნისო. ასეთი ხრიკებით და მუქარით გურულმა ჩაშალა გაფიცვა, რითაც მან დიდი სამსახური გაუწია ბ-ნ ერლიხს, კაპიტალისტების წარმომადგენელს. ეს ამბავი ფრიად დამახასიათებელი და მომასწავებელია ჩვენი მენშევიკების მოღვაწეობის დასახასიათებლათ. მუშები, გლეხები—მათთვის მხოლოთ მასალაა, იარაღია, თავიანთ მიზნების განახორციელებლათ. დღეს ხდება არჩევნები დამფუძნებელი კრებისთვის. ამას უნდა ენაცვალოს ყოველივე, მუშების და გლეხების ინტერესები, ამას უნდა ენაცვალოს კლასობრივი ბრძოლა.

ამავე დროს მენშევიკები არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, რომ ბოლშევიკებს ყოველნაირი ლაფი დაუყარონ ხალხში; ასე, მაგ., იგივე ვ. ნოგ გურული, რომელმაც მუშებს მოქმედება გაფიცვა ჩაუშალა, წამდაუწუმ გაიძახის, რომ ბოლშევიკები კონტრ-რევოლიუციონერები, ხალხის მტრები არიან და სხვ. მენშევიკები ფიქრობენ, რომ ხალხი ნელნელა დარჩება და ვერ გაიგებს იმათ საქციელს.

გამვლელი.

## ამ ხუების წინა დღით.

24 ოქტომბრის „ნოვაია ჟიზნი" ატყობინებს გადმოგვცემს პეტროგრადის რევოლიუციური ორგანიზაციების ცხოვრებიდან.

პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე მოისმინეს მოხსენება სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის მოქმედების შესახებ. მომხსენებელმა ანტონოვმა აღნიშნა ამ დაწესებულების ცხოველ-მყოფელობა, რაიცა მისი პირველივე ნაბიჯებით დამტკიცდა. სამხედრო-რევოლიუციონურმა კომიტეტმა დააკავა 10 ათასი ვინტოვკა, რომელსაც შტაბი ნოვოჩერკასკში გზავნიდა. კომიტეტმა საერთო წესით დაადგინა, რომ იარაღის დამამზადებელ ზავოდების მუშებმა არავის არ დაანებონ იარაღი, სანამ კომისარიებიდან ხელმოწერილ ორდერებს არ მიუტანენ მათ. 22 ოქტომბრისთვის დანიშნული კაზაკების პროცესია არ შესდგა, კომიტეტისავე მოთხოვნილებით.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პეტროგრადის ჯარის ყველა ნაწილები მხარს უჭერენ სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტს და მათ მიიღეს კომიტეტის დანიშნული კომისრები. კომიტეტმა ვერ მოასწრო მხოლოთ კაზაკების ნაწილშიაც გაეგზავნა თავისი კომისარები.

სამხედრო რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაწვრილებით იცის, რომ მთავრობას პეტროგრადისკენ გადმოყავს თავისი ერთგული ჯარები. პსკოვთან ერთი ნაწილი შეჩერებულ იქნა მე-16 ქვეითმა დივიზიამ და ორმა პოლკმა ვენდენში უარი განაცხადეს პეტროგრადში წასვლაზე. არის ცნობები, რომ კიევიდან იუნკრების რაზმი დაიძრა პეტროგრადისკენ.

დასასრულ კრებამ მიიღო ბოლშევიკების რეზოლიუცია, რომელიც იწონებს კომიტეტის მოქმედებას და მოუწოდებს მთელი ძალღონით დაუჭირონ მას მხარი. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ კომიტეტი შეებრძოლება პაგრომების ყოველივე ცდას.

## მუშათა შორის.

**სტამბის მუშებში.**

ორშაბათს, 30 ოქტომბერს, შესდგა შეერთებული სხდომა სტამბის მუშების რწმუნებულთა და გამგეობისა. დღის წესრიგში იყო დასმული: ტარიფი და დღევანდელი მომენტი. პირველ საკითხის შესახებ მდგომარეობა ასეთია: ამ რამდენიმე დღის წინეთ გამგეობამ გაუგზავნა სტამბის პატრონთ ტარიფი, შემუშავებული და მიღებული საზოგადო კრებაზე. ამის შემდეგ მოხდა შეერთებული სხდომა მუშებისა და ხაზეინების კავშირის წარმომადგენლების, რომელმაც განიხილა ტარიფი და ზოგიერთი მცირე მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა შიგ. ეხლა სტამბის პატრონთა კავშირი იძლევა ისეთ პასუხს ამ ტარიფზე, რომელიც უარყოფს თითქმის ყველა ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვან პარაგრაფებს. მცირეოდენი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: მიმართოს სტამბის პატრონთა ორგანიზაციას განცხადებით, რომ ის უარყოფს მათ მიერ წარმოდგენილ შესწორებებს და იცავს ტარიფს მთლიანათ პასუხის ვადათ დებს 3 ნოემბერს. თუ ამ ხანში გამგეობა მიიღებს არა დამაკმაყოფილებელ პასუხს—გამგეობამ უნდა მოიწვიოს კვირას, 5 ნოემბერს, საზოგადო კრება რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, თუ როგორ გატარდეს ცხოვრებაში ტარიფი.

მომენტის შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს ს. თოდრია და წინადადებას აძლევს კრებას მიიღოს პეტროგრადის მუშების და ჯარის თანაგრძნობის რეზოლიუცია. კამათის შემდეგ კრება ღებულობს 21 ხმის უმეტესობით, 1 წინააღმდეგ და 10 თავის დაჭერით შემდეგ რეზოლიუციას:

„ტფილისის სტამბის მუშების რწმუნებულთა და გამგეობის შეერთებული კრება უგზავნის ძმურ სალამს რუსეთის რევოლიუციის მოწინავე რაზმს—პეტროგრადის მუშებს და სალდათებს მათ ბრძოლაში და ახალ გამარჯვებაში კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან. უცხადებს თავის გულითადს სურვილს ქერენსკის მთავრობის მოწოდებას, რომ პეტროგრადის მუშების და სალდათების მოძრაობა იარაღით იქნეს ჩახშობილი. კითხვა მთავრობის შედგენის შესახებ გადაეცეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენლების ყრილობას. საჭიროთ სცნობს მოხდეს ეხლავე ხელახალი არჩევნები მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებში, რომ ამით საშუალება მიეცეს მუშებს და სალდათებს გამოსთქვან თავიანთი ნება სურვილი და აღჭურვონ ნდობით ჭეშმარიტი დემოკრატიის წარმომადგენლები".

ხ. თ.

## ბრძოლის ფონდი.

**ქ. ტფილისი** (ნაძალადევი). სალამს უძღვნით „ბრძოლის" რედაქციას და მის ძალებს, რომელნიც შეუპოვრათ ატარებენ თავის ტაქტიკას დღევანდელ რევოლიუციაში. ჩვენ გვრწამს, რომ „ბრძოლა" არის ნამდვილი მუშათა ინტერესების მიუდგომელი დამცველი, ივი დაუცხრომლათ ებრძვის ბურჟუა-კაპიტალისტებს და მათ დამქაშებს. ჭეშმარიტების სიყვარული მოითხოვს, რომ ასეთ ორგანოს მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ყველამ, ვისაც კი ჭეშმარიტების რამე სწამს და ამით საშუალება მისცეს, რათა ის დაუყონებლივ გადაკეთებულ იქნას ყოველდღიურ გაზეთათ. მოუწოდებთ ამხანაგებს, რომ გამოიღონ თავიანთი წვლილი შეძლების და გვარად და მით აღორძინონ ეს ჩვენი, სიმართლის მიმდევარი ორგანო. ჩვენის მხრით დღეს-დღეობით გიგზავნით ჩვენში ის შეგროვილს მცირე შეწირულს. შემომწირველთა სია: თითო მანეთი—უშანგი ფოცხიშვილმა, ლუკა იაშვილმა, პროკოფი ბედოშვილმა, აკაკი სურმავამ, ნიკიფორე თებზაძემ და ილიკო მხვილაძემ. მ. ნემსაძემ—ნოე მაღულარიამ, რომ მანეთი—სიმონ ვაჩეიშვილმა, კონსტანტინე კობახიძემ, გერმანე ქეშელავამ, ეპიფანე ზაქარიაშვილმა და ნესტორ ბოლქვაძემ. ხუთი მანეთი—ნესტორ ბოლქვაძემ და ათი მანეთი—სერგო მეგრელიშვილმა. სულ—34 მ. 50 კ.

ამხ. მინდობილობით სერგო მეგრელიშვილი.

— —

ამხ. სოლდათმა, მ. გახოკიამ ბრძოლის ფონდის სასარგებლოთ შემოიტანა—1 მ. 50 კ.

ელ. ქართ.-მბეჭდავი სტამბა „ქართლი", ლორის-მელიქოვის ქუჩა.